სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/102

ქ. თბილისი

4 აგვისტო 2022 წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის დაწყების თარიღის განსაზღვრისა და აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 04 აგვისტოს №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წელი დაიწყოს 2022 წლის 03 ოქტომბერს.
2. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**